

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა

No 3

რა სახის ცვლილებები შეიძლება მივიღოთ აშშ-თურქეთის ურთიერთობებში

ბაიდენის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში

*ზურაბ ბატიაშვილი*

აშშ-ში მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე, სადაც უპირატესობა აშკარად დემოკრატების მხარესაა, სულ უფრო საინტერესო ხდება კითხვა, თუ რას უნდა ველოდოთ თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში ჯო ბაიდენის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში და როგორ შეიძლება ეს აისახოს საქართველოზე.

2019 წლის 11 ივლისს ნიუ-იორკის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას ბაიდენმა პირობა დადო, რომ მისი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, იგი „აღადგენს ტრამპამდე არსებულ მსოფლიო წესრიგს“. მან იქვე ხაზი გაუსვა, რომ მისი აზრით, სამინაო და საგარეო პოლიტიკა ერთმანეთის შემადგენელი ნაწილებია.




*ერდოღან-ბაიდენის შეხვედრა ანკარაში, 2016 წლის 24 აგვისტო*

2009-2017 წლებში ბაიდენი, როგორც იმ პერიოდის აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი, ხშირად პირადად წარმართავდა აშშ-თურქეთის ურთიერთობებს. ამ პერიოდში იგი ოთხჯერ (2011 წ, 2014 წ, და ორჯერ 2016 წელს) ეწვია თურქეთს ოფიციალური ვიზიტით. შესაბამისად, იგი ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების ბევრ დეტალში (მათ შორის, პრობლემატურ საკითხებში) კარგად ერკვევა.

თურქეთთან მიმართებაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უპირველეს ყოვლისა, შეიცვლება ტრამპ-ერდოღანის პირად ახლო ურთიერთობებზე დამყარებული კავშირები, რაც ანკარას საშუალებას აძლევდა აეცილებინა კონგრესის მიერ სხვადასხვა საკითხის (ირანის წინააღმდეგ მოქმედი სანქციების მიუხედავად მასთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ქონა, ვაშინგტონის გაფრთხილებების მიუხედავად რუსული წარმოების საჰაერო თავდაცვის სისტემების S-400-ების შეძენა და ა.შ.) გამო თურქეთის წინააღმდეგ ინიცირებული სანქციები.

მოსალოდნელია, რომ არჩევის შემთხვევაში ბაიდენი, როგორც დემოკრატი პრეზიდენტი, უფრო მომთხოვნი იქნება თურქეთის მიმართ ბევრი მიმართულებით:

- სავარაუდოდ, მისთვის მნიშვნელოვანი იქნება თურქეთში ადამიანის უფლებებთან, დემოკრატიისა და პრესის თავისუფლების ხარისხთან დაკავშირებული საკითხები. ბაიდენის შეფასებით, თურქეთში ილახება პრესის თავისუფლების პრინციპი. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მან შეხვედრა გამართა თურქეთში დაკავებული ჟურნალისტის ჯან დუნდარის ოჯახის წევრებთან;
- ბაიდენმა შესაძლოა მხარი დაუჭიროს ერდოღანის ოპოზიციას. 2019 წლის დეკემბერში “The New York Times”-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბაიდენმა ერდოღანი ავტოკრატად მოიხსენია და აღნიშნა, რომ ვაშინგტონი უფრო აგრესიული უნდა იყოს ერდოღანის მიმართ და მხარი უნდა დაუჭიროს ოპოზიციის ლიდერებს;
- ბაიდენმა თურქეთზე ზემოქმედების ერთ-ერთ საშუალებად შესაძლოა ანკარის მიმართ ეკონომიკური სანქციების დაწესების საკითხიც განიხილოს;
- თურქულ-ბერძნულ დაპირისპირებაში ბაიდენის სიმპათიები ბერძნული მხარისკენ იხრება. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში მიმდინარე დაპირისპირებაში იგი საბერძნეთის მხარეს დაიჭერს, რაც ასევე პრობლემატური იქნება ანკარისთვის;
- სავარაუდოდ, ბაიდენი ასევე მხარს დაუჭერს სირიელ ქურთებს. იგი ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა ტრამპის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ჩრდილოეთ სირიიდან ამერიკელი სამხედროების გაყვანის თაობაზე, რაც სრულად ვერც განხორციელდა კიდეც. ბაიდენი თვლის, რომ ამერიკლეთა დარჩენა რეგიონში აუცილებელია როგორც ასადის რეჟიმის, ისე ირანისა და რუსეთის შეკავების თვალსაზრისით. ამიტომ 2019 წლის ოქტომბერში მან მკაცრად გააკრიტიკა თურქეთის ხელისუფლება სირიაში აშშ-ს მოკავშირე YPG-ს („ხალხთა თავდაცვის ნაწილები“) წინააღმდეგ ჩატარებული სამხედრო ოპერაციების გამო. ამ უკანასკნელთა აქტიურობას კი ოფიციალური ანკარა ტერორისტულ ორგანიზაციად მიჩნეული PKK-ს („ქურთისტანის მუშათა პარტია“) გაგრძელებად და შესაბამისად, ეგზისტენციურ საფრთხედ აღიქვამს. შესაბამისად, ამ საკითხშიც მოსალოდნელია ამერიკულ-თურქული დაპირისპირება;



*ამერიკული და რუსული სამხედრო ბაზები ჩრდილოეთ სირიაში*

- ბაიდენი ეწინააღმდეგება თურქეთში არსებული ინჯირლიქის სამხედრო ბაზაზე ატომური იარაღის ქონას, რაც კიდევ ერთი დაპირისპირების საგნად შესაძლოა იქცეს ანკარასთან ურთიერთობაში;
- ბაიდენმა ორმხრივ ურთიერთობებში ერთ-ერთ საკითხად შესაძლოა აია-სოფიის საკითხი დააყენოს. რამდენიმე დღის წინ მან თურქული მხარე აია-სოფიის მეჩეთად გადაკეთების გამო გააკრიტიკა და ერდოღანს მოუწოდა, რომ მას მუზეუმის სტატუსი დაუბრუნოს;
- ბაიდენის ადმინისტრაციამ შესაძლოა ცნოს ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ საკითხი (მას ასეთი პირობა უკვე დადებული აქვს), რაც კიდევ უფრო გაამწვავებს თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებს.

ყველა ზემოხსენებული საკითხიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით, მოსალოდნელია, რომ ბაიდენის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში გაიზრდება პრობლემები თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ შორის ურთიერთობები აშშ-ირანის ურთიერთობებს დაემსგავსება. აშშ და თურქეთი ნატოს წევრი ქვეყნები არიან და მათ სჭირდებათ მოკავშირეობა და ურთიერთობების შენარჩუნება.

აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბაიდენი რუსეთს აშშ-ს დემოკრატიაზე თავდასხმაში ადანაშაულებს და ნატოსა და ვეროკავშირის საშუალებით მოსკოვის წინააღმდეგ

უფრო მეტი ზეწოლის პოლიტიკის დაწყების მომხრეა. ბუნებრივი, რომ მას ამ მიმართულებით თურქეთის მხარდაჭერის ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეს. შესაბამისად, ერთის მხრივ, მოსკოვთან, მეორეს მხრივ კი ანკარასთან გართულებული ურთიერთობებიდან გამომდინარე ვაშინგტონში შესაძლოა დაიწყონ ფიქრი რეგიონში ალტერნატიულ სცენარებზე და ამ ფონზე საქართველოსთვისაც შეიძლება გაიხსნას ახალი შესაძლებლობების ფანჯარა ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მიმართულებით.

ასეთ შემთხვევაში, მთავარი იქნება, რამდენად იქნება ოფიციალური თბილისი მზად ალტერნატიული სცენარების ცხოვრებაში გატარებისთვის.